ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №547263

ნომერი: AR1104897

თარიღი : 24.01.2013

გაცემის თარიღი : 15.02.2013

გაცნობის თარიღი : 25.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდლის , N 9 , (I კლინიკური საავადმყოფოს მიმდებარედ);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯონი შალამბერიძე პ/ნ 62001012361
- სოხუმი ძერჟინსკის ქ. N 27

ორგანიზაცია:
- პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კომკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების ფილიალი საქართველოში

კოდი: 206093494

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისისმერიისსსიპ– თბილისისარქიტექურისსამსახურის2010 წლის21 მაისის #733 სამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კომკის ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების წარმომადგენლებმა გენადი გუდაძემ და ჯონი შალამბერიძემ 2013 წლის 24 იანვარს #AR1104897 განცხადებით მომართეს სამსახურს და მოითხოვეს სამსახურის 2010 წლის 21 მაისის #733 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში

ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 21 მაისს ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, წინანდლის ქ. #9–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.13.001.062; ფართობი: 778.00 კვ.მ.) საგანმანათლებლო დაწესებულების აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
აღნიშნული პირობების საფუძველზე საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერისა (რეგისტრაციის #892012174577, მომზადების თარიღი: 03.01.13) და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #892012174577, მომზადების თარიღი: 31.12.12) თანახმად ირკვევა, რომ #01.17.13.001.062 საკადასტრო ერთეულის დაყოფის შედეგად შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 758.00 კვ.მ.-ს, ახალი საკადასტრო კოდი #01.17.13.001.325.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2010 წლის 21 მაისის #733 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდესცვლილებაქ. თბილისისმერიისსსიპ– თბილისისარქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 21 მაისის #733 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 758.00 კვ.მ. და საკადასტროკოდადმიეთითოს#01.17.13.001.325.

2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 21 მაისის #733 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #892012174577, მომზადების თარიღი: 03.01.13) და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #892012174577, მომზადების თარიღი: 31.12.12, საკადასტრო კოდი: #01.17.13.001.325).
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2010 წლის 21 მაისის #733 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.